პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

20 დეკემბერი, შაბათი, 1986 წ.
№ 242 (9403) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



როგორც იცით, თბილისის სპორტის სასახლეში მიმდინარეობს ქალაქ მოკრივეთა V საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ვეჩერნი [illegible] ტურნირის [illegible] ... მატარებელ ყუფარაშის (მარჯვნივ) მეტოქეა აზიმხან ტუკუშევი. სწორედ ამ მოგებით დაიწყო ქუთაისელი მოკრივის წინსვლა ფინალისაკენ.

იხ. მე-4 გვ.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# ექვსეულის პრეტენდენტი

დამთავრდა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

17 დეკემბერი. მოსკოვი. „დინამოს" სპორტის სასახლე.

„დინამო" (თბილისი) — „შახტიორი" (დონეცკი) 71:68 (29:31).

„დინამო": დარსაძე (29), კაპუსტინი (13), ტიუბინი (12), ოპოშნიანი (9), ბოროდაჩოვი (4), ფერიაშვილი (4), სანაძე.



გელა დარსაძე.

„შახტიორი": ბაბენკო (29), შევჩენკო (13), ერმოლინსკი (8), ივანენკო (6), დონსკოი (4), ვნუკოვი (4), კროპაჩევი (2), კაჩურა (2), ზავალინი.

მსაჯები: ე. როზინსკი (მინსკი) და ა. აიუტსი (რიგა).

**პირველი** ტაიმის დასაწყისში უპირატესობას დონეცკელი კალათბურთელები ფლობდნენ და ანგარიშიც დიდხანს მათ მიჰყავდათ — 15:5, 22:9. მე-16 წუთისთვის სხვაობა 7 ქულამდე შემცირდა, ტაიმი კი დონეცკელებმა 2 ქულით მოიგეს.

შესვენების შემდეგ „დინამო" შესამჩნევად გააქტიურდა. განსაკუთრებით ეფექტურად თამაშობდნენ დარსაძე და ტიუბინი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ დარსაძემ ამ შეხვედრაში ექვსჯერ 3-ქულიანი ტყორცნა შეასრულა. მატჩის დასკვნითი ნაწილი თბილისელებმა კარგად ჩაატარეს და დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწიეს.

ამ ტურის შედეგების მიხედვით საბჭოთა კავშირის პირველი ნაკრების კანდიდატთა სიაში დარსაძე და ტიუბინი არიან შეყვანილნი, მეორე ნაკრებში კი — სანაძე. მეორე ნაკრების მწვრთნელად თბილისის „დინამოს" უფროსი მწვრთნელი ლევან მოსეშვილია მიწვეული.

**კომენტარი მატჩის შემდეგ. ლ. მოსეშვილი:** ტურის შედეგებით კმაყოფილი ვართ. დაგეგმილი გვქონდა 1 ქულის აღება, სინამდვილეში კი ორი შეხვედრა მოვიგეთ. ამან ექვსეულში მოხვედრის შანსი ერთი-ორად გაზარდა.

მოსკოვის ტურის მატჩები სანაძემ და ბოროდაჩოვმა შესაძლებლობაზე ჩუსტად ჩაატარეს. სამ მატჩში მათ გუნდს არსებითი ვერაფერი შესძინეს. ეს ჩვენთვის დიდი მოულოდნელობა იყო. თბილისის ტურამდე დარჩენილ პერიოდში მთავარ ყურადღებას სწორედ ამ კალათბურთელთა მომზადებაზე გავამახვილებთ.

**დავით კაჭაბაძე,**
(ჩვენი სპეც. კორ.).

(ტურის სხვა მატჩები იხ. მე-4 გვერდზე).

# წარმოგიდგენთ კანდიდატებს

წლის საუკეთესო სპორტსმენი, გუნდი, მწვრთნელი



# ნელი სალაძე

საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაზე წარმატებით იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატებმა. ჯგუფურ ვარჯიშში მათ მესამე ადგილი დაიკავეს და ბრინჯაოს მედლები მიიღეს, რაც თავისთავად სასიხარულოა, მაგრამ არანაკლებ გვახარებს ის, რომ ჩვენი გუნდის სავარჯიშო კომპოზიციას უდიდესი მოწონება და სპეციალისტთა ერთსულოვანი აღიარება ხვდა წილად. თუმცა ეს არც არის გასაკვირი: საპარტაკიადო ტურნირისთვის ხომ ჩვენი გუნდი გამოცდილმა, თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნე სპეციალისტმა, საბჭოთა კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ნელი სალაძემ მოამზადა.

ნელი სალაძე 1970 წლიდან მუშაობს მწვრთნელად. როცა ქალბატონ ნელის განვლილი გზის რომელიმე მონაკვეთის გახსენებას ვთხოვთ, იგი პირველ რიგში 1979 წელს იხსენებს. მართლაც, ამ წელს ჩაიწერა ერთ-ერთი ყველაზე ნათელი ფურცელი მის სპორტულ ბიოგრაფიაში. 1979 წელს ლონდონში ჩატარდა მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში. ამ ტურნირში თავი ისახელეს ნელი სალაძის აღსაზრდელებმა ირინე გაბაშვილმა და ლალი დოლიძემ. ირინემ ბურთით ვარჯიშში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, რომელსაც მრავალჭიდში მესამე ადგილის დასაკუთრებისთვის მიღებული ბრინჯაოს ჯილდოც დაუმატა, ლალი კი მსოფლიო ჩემპიონი გახდა ჯგუფურ ვარჯიშში. ერთბაშად ორმა შეგირდმა ასახელა მწვრთნელი. ეს არა მარტო სასიხარულოა, საპატიოცაა. იმავე წელს ნელი სალაძეს საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა.

ნელი სალაძის აღსაზრდელებიდან მარტო ირინე გაბაშვილმა და ლალი დოლიძემ როდი ისახელეს თავი. ირინა ქემჩუქინამ ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი მიიღო. საკავშირო ასპარეზზე წლების მანძილზე წარმატებით გამოდიოდნენ მაია ნადიბაიძე, ვიოლეტა დარბაიძე და სხვები. მწვრთნელის „სახელოსნოში" ახლაც ბევრი პერსპექტიული ახალგაზრდა ხვეწს ოსტატობას. მაგალითისთვის, ალბათ, ირმა ყიფშიძის დასახელებაც იკმარებს. ირმამ წლეულს ჯგუფურ ვარჯიშში ევროპის ჩემპიონატზე მსოფლიო თასის გათამაშებაში ვერცხლის მედლები მოიპოვა. მისი წარმატება კიდევ ერთი თვალსაჩინო საბუთია იმისა, რომ გამოცდილი სპეციალისტის მუშაობა კვლავ ნაყოფიერად გრძელდება, რომ იგი კიდევ ბევრჯერ გაახარებს სპორტის გულშემატკივრებს.

ქალბატონი ნელის ამაგის თავისებური აღიარება და დაფასებაა ის, რომ იგი ამ ცოტა ხნის წინ მხატვრული ტანვარჯიშის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმის წევრად აირჩიეს.

ტელეტაიპი - მაუწყებელი

⊙ **სვერდლოვსკი.** აქ მიმდინარეობს წლევანდელი სპორტული სეზონის ერთ-ერთი ბოლო შეჯიბრება სინქრონულ ცურვაში — სსრ კავშირის თასის გათამაშება, რომელშიც ჩვენი ქვეყნის ყველა უძლიერესი სპორტსმენი მონაწილეობს. განსაკუთრებით ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი ერთეულთა შეჯიბრებაში. აქ საპატიო ჯილდოსთვის 74 სპორტსმენი იბრძვის. სავალდებულო პროგრამის შესრულების შემდეგ პირველ ადგილზეა 18 წლის თბილისელი ლელა მამიაური — 76,82 ქულა.

⊙ **რიგა.** ლატვიის დედაქალაქში დაიწყო სსრ კავშირის თასის გათამაშება ფარიკაობაში. პროგრამის პირველ სახეობაში ასპარეზობა უკვე დამთავრდა. რაპირისტ ვაჟთა ფინალში მონაწილეობის უფლება მოსკოვის, ლენინგრადის, რუსეთის ფედერაციის, საქართველოსა და სომხეთის წარმომადგენლებმა მოიპოვეს. ყველაზე ბევრი გამარჯვება (5) აქ ლენინგრადელ ა. კლიუშინს ჰქონდა და საპატიო ჯილდო სწორედ მას გადაეცა. მომდევნო ადგილები პ. სოლოვიოვს (მოსკოვი) და ა. იბრაჰიმოვს (რსფსრ) ხვდათ — 3-3 გამარჯვება. საქართველოს წარმომადგენელი ვ. აფციაური ამჯერად მეხუთე იყო (1 გამარჯვება).

⊙ **ბრიუსელში** (ბელგია), დიდოსტატთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში, მეორე წრის შეხვედრები დაიწყო. VI ტურში გარი კასპაროვმა 18 სვლაში დაამარცხა ჯონ ნანი (ინგლისი). ნაიჯელ შორტმა (ინგლისი) მოუგო ლაიოშ პორტიშს (უნგრეთი).

6 ტურის შემდეგ გ. კასპაროვს 4,5 ქულა აქვს, ნ. შორტს — 4.

⊙ **ხილვერსიუმში** (ჰოლანდია) გრძელდება დიდოსტატების არტურ იუსუპოვისა (სსრ კავშირი) და იან ტიმანის (ჰოლანდია) მატჩი. მეოთხე პარტია ყაიმით დამთავრდა. მატჩის ანგარიშია 2:2.

## დაინიშნენ გუნდის უფროსები

თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის უფროსად დანიშნულია ნუგზარ პეტრეს ძე ებრალიძე, ხოლო ლანჩხუთის „გურიის" უფროსად — გიორგი კონსტანტინეს ძე ბაქანიძე.

## „გურია" სირიაში

**ლანჩხუთის** „გურიის" ფეხბურთელთა გუნდი სირიაში ატარებს საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრებს. პირველ მატჩში „გურია" შეხვდა ალეპოს „ჰურიას". ჩვენმა ფეხბურთელებმა ეს შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 2:1.

### ინფორმაცია

**სსრ კავშირის** 1986 წლის საუკეთესო ტანმოვარჯიშედ დაასახელეს იური კოროლიოვი და ელენა შუშუნოვა. კოროლიოვს ჟურნალ „მოლოდოი კომუნისტის" პრიზი მეოთხედ გადაეცემა. შუშუნოვამ კი მეორედ მოიპოვა ჟურნალ „სოვეტსკაია ჟენშჩინას" პრიზი.

თბილისის სახელმწიფო ცირკში დღეს გრძელდება შეხვედრები ქართულ ჭიდაობაში რესპუბლიკის ქალაქების, უბნებისა და სოფლების ნაკრებ გუნდებს შორის. როგორც ცნობილია, ამ ლონისძიებას ერთობლივად ატარებენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სპორტსახკომი და სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" რესპუბლიკური საბჭო. ამჯერად ხარბიელი დაეთმობათ გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფის, მცხეთის რაიონის სოფელ დიღმის, ხაშურის რაიონის სოფელ ვაყის, თბილისის თემქის, ორთაჭალის და ქუთაისის საფიჩხიის უბნების ფალავნებს.

შეჯიბრება დაიწყება 12 საათზე.



საკავშირო თასის გათამაშება ცურვაში

# წარმატება პაუზის შემდეგ

**ვილნიუსში** გაიმართა მოცურავეთა საკავშირო თასისთვის მებრძოლთა პირადი პირველობა. საინტერესოა, რომ ამ შეჯიბრებაში მოცურავეები აქამდე სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრებ გუნდებს გამოჰყავდათ, ახლა კი ასპარეზობა რესპუბლიკების წარმომადგენელთა შორის გაიმართა.

კარგად იასპარეზა მერაბ საყევარიშვილის აღსაზრდელმა, თბილისელმა იგორ არტიომოვმა („დინამო"), რომელმაც 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მეორე ადგილი დაიკავა — 4.02,61. აქ უძლიერესი იყო უკრაინის წარმომადგენელი ევგენი ლოგვინოვი (4.00,90). იგივე არტიომოვი 1500 მეტრზე ცურვაში III ადგილზე გავიდა — 16.03,18, ამ დისტანციაზე უძლიერესის სახელი უკრაინელმა ვიაჩესლავ ცარკოვმა მოიპოვა — 15.43,68. მეორე ადგილი წილად ხვდა ყაზახეთის წარმომადგენელ რენატ დაურანოვს — 16.00,15.

აღსანიშნავია, რომ თასისათვის ბრძოლაში, ირინა გერასიმოვას შემდეგ, ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს წარმატებისთვის არ მიუღწევიათ.

არტიომოვს იქნებ 400 მეტრზე ცურვაშიც მოეპოვებინა გამარჯვება, უძლიერესებთან ერთად რომ გამოსულიყო. საქმე ისაა, რომ ვილნიუსში მიმავალი ჩვენი რესპუბლიკის მოცურავეები, მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ზაპოროჟიეში დაყოვნდნენ. მათ შეჯიბრებაზე აღარ ელოდნენ და ამიტომ სასტარტო გაცურვის ოქმები უკვე შედგენილი იყო.

ჩვენი მოცურავეები რომ არ გაეწბილებინათ, იგორ არტიომოვისთვის, ვლადიმერ ბებიაშვილისთვის (თბილისი, „დინამო") და როლანდ ხვადაგიანისთვის (თბილისი, „განთიადი") 400 მეტრზე გაცურვა ცალკე მოაწყვეს. ხვადაგიანმა თავისი საუკეთესო დრო — 4.08,14 აჩვენა, რაც IX შედეგი აღმოჩნდა. ბებიაშვილმა დისტანცია 4.09,69 წამში გაცურა და XIII ადგილი დაიკავა.

ამავე შეჯიბრებაზე არამ დავთიანმა (თბილისი, „დინამო") 200 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში XI ადგილი დაიკავა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი — 2.09,50.

**ჟამი ფიქრისა, ჟამი განსჯისა**

# სამბო გერი არ არის



**საბჭოთა** კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაზე საქართველოს სამბისტთა ნაკრებმა ერთი ოქროს და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, მოაგროვა 121 ქულა და საერთო-გუნდურ ჩათვლაში X ადგილი დაიკავა. ამ შედეგსა და პროგნოზით გათვალისწინებულ ვალდებულებას შორის საკმაოდ დიდი სხვაობაა. სპეციალისტებისა და მწვრთნელთა საბჭოს მიერ შედგენილი გეგმა 5 მედალს (ერთი — ოქროს, ორი — ვერცხლის და ამდენივე —ბრინჯაოს), 217 ქულასა და გუნდურ III ადგილს ითვალისწინებდა.

ახლა, როცა სასპარტაკიადო სტარტების ობიექტური და გულდინჯი ანალიზის საშუალება მოგვეცა, ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ სამბოს განვითარების დონე რესპუბლიკაში საერთო-საკავშირო სტანდარტების დონეს სულ მცირე 15-20 წლით ჩამორჩება. არ შეიძლება არ დაეთანხმო სპეციალისტთა ამ მკაცრ და ამავე დროს დაგვიანებულ შეფასებას. მაგრამ საინტერესოა როდის გაჩნდა ასეთი აზრი?

სპარტაკიადამდე გუნდიც და მწვრთნელებიც ალბათ ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილი, თორემ საკავშირო სტანდარტებს 15-20 წლით ჩამორჩენილ კოლექტივს მესამე ადგილს, ამდენ ქულასა და მედალს ვინ დაუგეგმავდა? ორში ერთია — ან იმთავითვე ზუსტად ვერ განვსაზღვრეთ საკუთარი შესაძლებლობანი, ან ჩვენს მეტოქეთა შესაძლებლობებს არ ვიცნობდით, არ ვიცოდით როგორ იყვნენ ისინი მომზადებული. ჩვენ თუ გვკითხავთ, არც ერთი გვეპატიება და არც მეორე.

სამბოს ჩვენს რესპუბლიკაში საკმაოდ დიდი ტრადიციები აქვს. ამ ტრადიციებს თავის დროზე ქმნიდნენ ქართული ჭიდაობის ენთუზიასტები, რომლებმაც ეს ორი სახეობა მაქსიმალურად დაუახლოვეს და დაუკავშირეს ერთმანეთს. მერე არსებითი ძვრები მოხდა და ძიუდოს სწრაფმა განვითარებამ თითქოს ფრთები შეაჭრა სამბოს, მაგრამ ძიუდოს „მსახვრელი ხელი" მარტო ჩვენ არ შეგვხებია. მსგავსი ვითარება შეიქმნა სხვა რესპუბლიკებშიც და ქალაქებშიც. გამოსავალი მეტ-ნაკლებად ყველამ მოძებნა, მხოლოდ ჩვენ დავრჩით ძიუდოზე გულნატკენნი.

მაშინ სერიოზულად არავინ დაფიქრებულა იმაზე, რომ სამბო და ძიუდო მონათესავე სახეობებია და მუშაობის სწორი წარმართვით მათი ურთიერთშეთავსება შეიძლებოდა. ჩვენ ვამბობთ: სპორტსაზოგადოებები სამბოს განვითარებაზე არ ზრუნავენ, მას ქართული ჭიდაობაც ვერ ეხმარება, არ გვყავს რეზერვი და ვიხსენებთ იმ დროს, როცა სამბისტთა საკავშირო ტურნირებში ანზორ კიკნაძე, ანზორ ქიბროწაშვილი, გივი ონაშვილი, ჯიბილო ნიჟარაძე, სხვები და სხვები გამოდიოდნენ. ძველის გახსენებას, ცხადია, აქვს აზრი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იგი ახალგაზრდობის მობილიზებაში დაგვეხმარება, მაგრამ ისტორიულ ექსკურსს ამ შემთხვევაში მხოლოდ შემეცნებითი ღირებულება შეიძლება ჰქონდეს. არც მეტი, არც ნაკლები და აი, რატომ.

სპარტაკიადისთვის სამზადისი რესპუბლიკის ნაკრებმა ორი წლის დაგვიანებით დაიწყო, გუნდის შერჩევა-დაკომპლექტება და უფროსი მწვრთნელის დანიშვნა კი შარშან, შემოდგომაზე მოხერხდა მხოლოდ. ახლა ხმამაღლა ვამბობთ, რომ ნაკრები გუნდისა და ცალკეულ მოჭიდავეთა გაწვრთნილობის დონე, მათი სპორტულ-ტექნიკური შედეგები მიახლოებითაც არ პასუხობდა მზადების დასკვნითი მიკროციკლის საერთო მიმართულებასა და მოთხოვნებსო. საინტერესოა, როგორ უნდა ეპასუხა, როცა ერთი წლის წინ გუნდს არ ჰყავდა უფროსი მწვრთნელი, ორი წლის წინ კი თავად გუნდი არ არსებობდა? ასეთ პირობებში მზადების სამწლიან ციკლს, სპეციალისტები, რომლებიც გუნდს ასეთი საპასუხისმგებლო შეჯიბრებისთვის ამზადებენ, ვალდებულნი არიან მერე მაინც იყვნენ ობიექტურნი, როცა ასპარეზობა დამთავრდება, ობიექტურნი იყვნენ, თორემ რა გამოდის: გაუთვალისწინებელ და მოულოდნელ ტრავმებს მხოლოდ ჩვენ ვუჩივით და ვამტკიცებთ, რომ ყველაფერი ამან გადაწყვიტა.

პაატა ბუზარიაშვილს (82 კგ) მწვრთნელთა საბჭომ 25 ქულა (III ადგილი) დაუგეგმა. ასეთი ვარაუდი 1986 წლის საკავშირო ჩემპიონატისათვის თავისთავად გაუგებარი იყო, მაგრამ ბუზარიაშვილმა მხოლოდ VIII ადგილი დაიკავა და გუნდს 9 ქულა შესძინა. მიზეზად მწვრთნელებმა სპორტსმენის ტრავმა დაასახელეს. ეგნატე ზაზუნიშვილს (100 კგ) VI ადგილი და 14 ქულა ჰქონდა დაგეგმილი, სინამდვილეში კი მან XIII ადგილი დაიკავა და, ცხადია, შეუფასებელი დარჩა. მიზეზი? კვლავ ტრავმა! გეგმა ვერც ალექსი ხაჩიძემ (100 კგ) შეასრულა (მეორის ნაცვლად, მეათე ადგილი) და მანაც იმის გამო, რომ დაშავდა. ასე ყველაფრის გამართლება შეიძლება, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აზრი ეკარგება.

მიზეზები სწორედ აქ უნდა ვეძებოთ. ნაკრები გუნდის დაკომპლექტებისას, როგორც წესი, წინა საკავშირო ჩემპიონატის შედეგებით ხელმძღვანელობენ. ამ ნიშნის მიხედვითაც გუნდში საშუალო ძალის სამბისტები მოხვდნენ, ისინი, ვინც ბოლო ჩემპიონატში მეთოთხმეტე, ოცდამეორე, ოცდამეოთხე და ა. შ. ადგილებზე გავიდნენ, რისი იმედი უნდა გვქონოდა მათზე დაყრდნობილებს? ცხადია, არაფრის.

მაგრამ სპარტაკიადაზე მარტო ჩვენი გუნდის წევრები ხომ არ დაშავებულან?

ბადრი ბასილაშვილის (57 კგ) წარუმატებლობა მწვრთნელთა საბჭომ იმით ახსნა, რომ მას პირველ ორ წრეში ბრძოლა ძლიერ მეტოქეებთან მოუხდა (!). ეს უკვე მეტისმეტია და რაღა დაგიმალოთ, სასაცილოც. ერთმა ვამოცდილმა სპეციალისტმა კერძო საუბარში შემოგვჩივლა: ჩვენი სამბისტები IX სპარტაკიადაზე უკეთესად იასპარეზებდნენ, ასაკობრივი შეზღუდვა რომ არ შემოეღოთო. ვერც ამ მოსაზრებას გავიზიარებთ. ჯერ ერთი შეზღუდვა ყველა რესპუბლიკისთვის იყო დაწესებული და კაცმა არ იცის, ვინ როგორ დაიჩაგრა. მეორეც, ვინ გვაძლევს იმის გარანტიას, რომ „შეუზღუდავ პირობებში" უკეთეს შედეგს ვაჩვენებდით? თუ „შეზღუდვამ" დაგვაზარალა, მაშინ, რატომ აცხადებენ რომ სამბოს განვითარება საქართველოში საერთო საკავშირო სტანდარტებს 15-20 წლით ჩამორჩება?

სპარტაკიადის შემდეგ მწვრთნელთა საბჭომ შექმნა სპეციალური დოკუმენტი, რომელშიც ნათლად არის ჩამოყალიბებული მომავალი მუშაობის ძირითადი მიმართულებები და ტენდენციები, შეფასებულია ჩვენი გუნდის გამოსვლაც სეზონის ამ უმთავრეს შეჯიბრებაში. ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ მწვრთნელთა საბჭო საქართველოს სამბისტთა გამოსვლას სპარტაკიადაში არადამაკმაყოფილებლად აფასებს, ამიტომ თავის გასამართლებელი მიზეზები (ტრავმები, ასაკობრივი შეზღუდვა და ა. შ.) საბუთად არ გამოდგება.

დოკუმენტში ლაპარაკია მუშაობის გარდაქმნის აუცილებლობაზეც, მომავალი სპარტაკიადისათვის სამზადისის დროულ დაწყებაზე, რეზერვის მომზადების ხარისხის გაუმჯობესებაზე. მწვრთნელთა პროფესიული მომზადების დონის ამაღლებაზე, სწორ და შეუცდომელ სელექციაზე, დისციპლინის გაუმჯობესებაზე [illegible] და ა. შ. [illegible] მდენი რამ ყოფილა გასაკეთებელი, ანგარიშგასაწევი და გამოსასწორებელი? ხედავთ, რა რთული გზის გავლა ყოფილა საჭირო იმისათვის, რომ დაკარგული პოზიციები აღვიდგინოთ?

ერთი შენიშვნა ჩვენც უნდა გავაკეთოთ.

ნოემბრის მიწურულში საფრანგეთში იუნიორ სამბისტთა მსოფლიო პირველობა ჩატარდა. იქ სხვებთან ერთად ოქროს მედალი მოსკოველმა ნიკოლოზ წაქაძემ მოიპოვა (მძიმე წონაში). ამავე ტურნირზე 90 კგ. წონითს კატეგორიაში მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედალი მინსკელმა გოჩა მძელურმა დაისაკუთრა. სამბისტთა სასპარტაკიადო ტურნირზე მძიმე წონის მოჭიდავეთა შორის ჩემპიონი კიეველი მაიზერ ჯაფარიძე გახდა, 68 კგ. წონით კატეგორიაში კი ბრინჯაოს მედალი კიშინიოველ დათო ლაფარიძეს ხვდა წილად. მოსკოვი, მინსკი, კიევი, კიშინიოვი... ვინ იცის კიდევ რამდენი ქალაქის ღირსებას იცავდნენ ჩვენი თანამემამულეები.

ამ ფაქტთან დაკავშირებით ერთ ეპიზოდს გავიხსენებთ. საკავშირო ჩემპიონატების ბოლო პრიზიორი მძიმე წონაში ჩვენ როინ ოდიშელიძე გვყავდა. ბრინჯაოს მედალი მან 1975 წლის სამბისტთა პირველობაში მოიპოვა. 1977 წლიდან კი იმავე წონაში უცვლელი პრიზიორი გახდა ტაშკენტელი ს. გოგნაძე, რომელიც ორჯერ ვერცხლისა და სამჯერ ბრინჯაოს მედალს ფლობდა — მაგრამ ყოველი ჩემპიონატის შემდეგ ეს ჯილდოები მას ტაშკენტში ჩაჰქონდა. გოგნაძე ჩვენს სპორტულ ორგანიზაციებში აღიზარდა, მაგრამ იმის გამო, რომ მას ადგილი ვერ მოუძებნეს, ვერ მოუარეს, შორეულ უზბეკეთში გადასახლდა. ვინ დაზარალდა ამით? მხოლოდ ჩვენ.

როგორც ხედავთ, ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი საკუთარი კადრებისადმი გულგრილობა ყოფილა. ამაზეც უნდა დავფიქრდეთ დღეს, როცა ჩვენს სამბოს ასე უჭირს.

---

# ტრადიციის დასაწყისი

**ბათუმის** სპორტულ ცხოვრებაში ახალ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი: აქ გაიმართა მოზარდთა საკავშირო ტურნირი მინიფეხბურთში საქართველოს საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს პრიზზე.

შეჯიბრება ამიერიდან ყოველწლიურად გაიმართება, განვლილ გათამაშებაში კი მონაწილეობდნენ საქართველოს 7 კოლექტივი, აგრეთვე, მოსკოვის, ლენინგრადის, მინსკის, ტალინის, დაუგავპილსის, კიროვაკანის, ბაქოს, კიშინიოვისა და ტერნოპოლის გუნდები.

ქვეჯგუფებში ჩატარებულ შეჯიბრებათა შემდეგ ფინალში გავიდნენ თბილისის, მოსკოვის, ქუთაისისა და რუსთავის გუნდები. საბოლოოდ საპატიო პრიზი მოიპოვეს რუსთაველმა მოსწავლე ფეხბურთელებმა, მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ქუთაისისა და თბილისის გუნდები. ტურნირზე დაწესებული პრიზები მოიპოვეს: თ. შალამბერიძემ (ქუთაისი), ზ. არჩვაძემ (რუსთავი), თ. დოლიძემ (თბილისი), ვ. დიმარჩანიანმა (კიროვაკანი). საუკეთესო ბომბარდირი იყო თბილისელი ზ. ცოგაშვილი, ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელი — ვ. გრიგორიევი (ლენინგრადი).

**ლევან ქავთარაძე.**
**(ჩვენი კორ.).**

---

# „დაგვიდგა ჟამი ხთვლისა!"

**ცხინვალის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის რეკონსტრუქცია ამ ათი წლის წინ დაიწყო. მას შემდეგ ხად არ ითქვა და ხად არ დაიწერა ამ გაჭიანურებული მშენებლობის შესახებ, მაგრამ მის დამთავრებას დღემდე არ დაადგა საშველი. ამის თაობაზე დაიწერა გაზეთ „ლელოს" გასული წლის 20 ოქტომბრის ნომერშიც. იმ დროისათვის სარეკონსტრუქციოდ გამოყოფილი 674 ათასი მანეთიდან ათვისებული იყო მხოლოდ 324 ათასი, აუთვისებელი რჩებოდა 350 ათასი მანეთი. ბავშვებს საახალწლოდ პირდებოდნენ მშენებლობის ე. წ. პირველი რიგის (სათამაშო დარბაზის) დამთავრებას, მაგრამ მას შემდეგ წელიწადზე მეტი გავიდა. ამ ხნის მანძილზე აქ თითქმის არაფერი გაკეთებულა. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ დარბაზი გადაიხურა და მისი სამი კედელი შეილესა. გადაიხურაო, ვამბობთ, მაგრამ წვიმის დროს დარბაზში ისე წვიმს, როგორც გარეთ. გარდა ამისა, სახურავი კედელთან მთავრდება და ნაწრეტი წყალი კედლებს ახველებს. ამავე მიზეზით სველდება ძველი (მოქმედი) დარბაზის კედელიც.**

**ცხინვალის სამშენებლო ტრესტის ახალი მმართველი თამაზ ვაზაგიძე (სკოლის რეკონსტრუქციის დაწყების შემდეგ ტრესტმა ოთხი მმართველი გამოიცვალა) განათლების სამმართველო განყოფილებას და სკოლის დირექციას დაპირდა, რომ სათამაშო დარბაზს ბავშვებს სექტემბრისთვის ჩააბარებდა, მაგრამ მისი დაპირებაც დაპირებად დარჩა, მეტიც: მან არა თუ დააჩქარა ეს სამუშაოები, არამედ აქ მომუშავე რამდენიმე კაცი სხვა ობიექტზე გადაიყვანა.**

**ქალაქის მოსახლეობა კი მოუთმენლად ელის ამ სკოლის რეკონსტრუქციის დამთავრებას. არადა ჯერჯერობით, ე. ი. 9 წლის განმავლობაში სარეკონსტრუქციოდ გამოყოფილი თანხის მხოლოდ ნახევარია ათვისებული. ვაი თუ 320 ათასის ათვისებას კიდევ 9 წელიწადი დასჭირდეს...**

**მშენებლებმა დარბაზის ფანჯრები ჩვეულებრივი მინის ნაცვლად, მინის სქელი ბლოკებით ამოქოლეს, რათა ოდნავ მაინც განემტკიცებინათ უხარისხო აგურით უგულოდ ნაგები კედელი. სხვათა შორის, ასეთ განმტკიცებას აქ ყველა კედელი საჭიროებს. რაც მთავარია, თავიდანვე იგრძნობოდა, რომ კედელი მყარი არ იქნებოდა, მაგრამ ხარისხზე არავის უფიქრია.**

**და აი, ზამთრისპირს ამოვარდნილმა ძლიერმა ქარმა მთლიანად ტბაში გადააწვინა 10 მეტრი სიმაღლის კედელი. საბედნიეროდ ეს გამთენიისას მოხდა და სკოლის წინ გამავალ გზაზე იმ დროს არავინ იყო. დაზიანებული და უვარგისია დარჩენილი ორი კედელიც. სათამაშო დარბაზის კედლები კი ალბათ სახურავმა შეკრა და იხსნა დანგრევისაგან. აი, ახე უქმად დაიკარგა ამდენი დრო და შრომა. შეშინებულია ბავშვების ბევრი მშობელი, სავარჯიშოდ წასვლას უკრძალავს შვილს. ვერც გაამტყუნებთ.**

**აი, უყურადღებობის, უსულგულობისა და უპასუხისმგებლობის შედეგი. დიახ, „მოვიდა ჟამი ხთვლისა, ავად ნათეხის მწარედ მკისა!".**

**ლეილა ხუბელიანი,**
**„ლელოს" საკ. კორესპონდენტი.**
**ცხინვალი.**

# ფოტობრალდება



სპორტსკოლის მშენებლობის დამთავრებას საშველი არ დაადგა — აშენებული კედელიც დაინგრა!
ა. ხიუკაევის ფოტო.

რედაქციისაგან: წელს სამხრეთ ოსეთის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე ერთხელ კიდევ მწვავედ დაისვა ცხინვალის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის კომპლექსის გაჭიანურებული მშენებლობის საკითხი. კრებას სამხრეთ ოსეთისა და ცხინვალის ხელმძღვანელი ორგანიზაციების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მაშინ ოქმში ჩაიწერა, რომ სპორტული სკოლის საკითხს კონტროლზე აიყვანდნენ. სამწუხაროდ, როგორც წერილიდან ჩანს, მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა, პირიქით, ისიც დაინგრა, რაც აშენდა, რაზედაც სახელმწიფო სახსრები და ადამიანების შრომა დაიხარჯა.

ვფიქრობთ, ის, რაც ამჯერად მოხდა, ცხინვალში მკაცრი შეფასებისა და საქმიანი გამოხმაურების გარეშე არ დარჩება.

# ლანჩხუთის „გურია“

## I ლიგის სტატისტიკა

**ლანჩხუთის** „გურიის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი პირველ ლიგაში გამოდიოდა 1980 წლიდან. ლანჩხუთელებმა ჩაატარეს 303 მატჩი. ცხრილში ნაჩვენებია თუ რამდენჯერ განმეორდა ესა თუ ის ანგარიში (ვთქვათ, 0:0, 1:0, 0:1), ლანჩხუთის „გურიის“ მიერ პირველი ლიგის გუნდებთან შეხვედრებში (1980-1986 წლები).

დიაგონალზე, რომელიც შავი კონტურითაა შემოხაზული, აღნიშნულია ფრედ დამთავრებული მატჩების რაოდენობა, დიაგონალისგან მარჯვნივ — მოგებული მატჩების, ხოლო მარცხნივ — წაგებული მატჩების რიცხვი. შვიდი სეზონის

| დამარცხებები (გაშვ. გურთები) | გამარჯვებები (მატ. გურთები) 0 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 0 | 19 | 32 | 22 | 12 | 4 | — | — |
| 1 | 24 | 20 | 30 | 9 | 4 | — | 2 |
| 2 | 20 | 16 | 15 | 6 | 2 | 1 | — |
| 3 | 24 | 7 | 4 | 1 | 3 | — | — |
| 4 | 9 | 3 | 3 | 2 | 1 | — | — |
| 5 | 2 | 3 | 1 | 1 | — | თამაშები სულ | |
| 6 | 1 | — | — | — | — | 303 | |

მანძილზე, როცა „გურია“ გამოდიოდა, პირველ ლიგაში აღინიშნა 32 სხვადასხვა ანგარიში.

„გურიამ“ 303 მატჩიდან 127 მოიგო (ჩატარებული მატჩების 41,9 პროცენტი), 56 ფრედ დაამთავრა (18,5) და 120 წააგო (39,6).

როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველაზე მეტი მატჩი (32) დამთავრდა ანგარიშით — 1:0 (10,6), ფრედ — 1:1 20 შეხვედრა დამთავრდა და ა. შ.

ყველაზე დიდი ანგარიშით — 6:1 „გურიამ“ ორი მატჩი მოიგო, ხოლო ყველაზე დიდი ანგარიშით — 0:6 — ერთი შეხვედრა წააგო.

**ზურაბ თედორაძე.**

## მკითხველი — გაზეთი

**„ლელოს“ 13 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა წერილი, რომ ლანჩხუთის „გურია“ მეხუთე გუნდია საქართველოდან, რომელიც სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატების ისტორიაში უმაღლეს ლიგაში იასპარეზებს. გთხოვთ ჩამოგვითვალოთ ეს გუნდები, უმაღლეს ლიგაში მათი მონაწილეობის წლები და შედეგები“.**

**ქუთაისელ ფეხბურთის მოყვარულთა ამ წერილს ხელს აწერენ ოლეგ ხვედელიძე, ოლეგ კუხალაშვილი, შალვა სუხიშვილი და მერაბ დვალი.**

**ამგვარი წერილებით რედაქციას სხვა მკითხველებმაც მოგვმართეს, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია დავაკმაყოფილოთ მათი თხოვნა.**

საქართველოს პირველი გუნდი, რომელიც უმაღლეს ლიგაში უცვლელად ასპარეზობს, რა თქმა უნდა, არის **თბილისის „დინამო“**. უმაღლეს ლიგაში იგი გამოდის 1936 წლის შემოდგომიდან. თბილისის დინამოელებმა 1964 და 1978 წლებში მოიპოვეს სსრ კავშირის ჩემპიონობა, საკავშირო ჩემპიონატებში მეორე ადგილები დაიკავეს 1939, 1940, 1951, 1953 და 1977 წლებში, გუნდი მესამე პრიზიორი იყო 1936 წლის შემოდგომით, 1946, 1947, 1950, 1959, 1962, 1967, 1969, 1971, 1972, 1976 (გაზაფხული და შემოდგომა) წლებში. წლევანდელ ჩემპიონატში თბილისის „დინამო“ მეხუთე ადგილზე გავიდა.

ომამდე თბილისიდან კიდევ ერთი გუნდი მონაწილეობდა უმაღლეს ლიგაში. ეს იყო **„ლოკომოტივი“**, რომელმაც 1938 წელს 26 გუნდს შორის 24-ე ადგილი დაიკავა. 1940 წელს თბილისის „ლოკომოტივი“ უმაღლესი ლიგის 14 გუნდს შორის იმყოფებოდა, მაგრამ გათამაშება ვერ დაამთავრა და გამოეთიშა ჩემპიონატს. საარქივო მასალებში არის ამ გადაწყვეტილების ასეთი ფორმულირება: გუნდის მწვრთნელებმა სათანადო ორგანიზაციული ხელმძღვანელობა ვერ გაუწიეს სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ნორმალურ მსვლელობას, ამის გამო ლოკომოტიველები ჩემპიონატის მიღმა დარჩნენ.

შემდეგი გუნდი, რომელიც საქართველოდან ასპარეზობდა უმაღლეს ლიგაში, იყო **თბილისის „სპარტაკი“**. თბილისის სპარტაკელებმა 1950 წელს 19 მონაწილე გუნდს შორის მე-9 ადგილი დაიკავეს, შემდგომ, 1951 წელს უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატში 15 გუნდი გამოდიოდა, თბილისის „სპარტაკმა“ აქ მე-14 ადგილი დაიკავა და გამოეთიშა უმაღლეს ლიგას.

1961 წელს კიშინიოვში გაიმართა 3 გუნდის ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ „კალევი“ (ტალინი), „ტორპედო“ (ქუთაისი) და „ლოკომოტივი“ (თბილისი). გამარჯვებული გუნდი შემდგომ წელს უმაღლესი ლიგის საგზურს ღებულობდა. ტურნირში პირველი ადგილი დაიკავეს **ქუთაისის ტორპედოელებმა,** რომლებიც 1970 წლამდე გამოდიოდნენ უმაღლეს ლიგაში, შემდეგ პირველ ლიგაში გადაინაცვლეს, კვლავ დაუბრუნდნენ უმაღლეს ლიგას და წლეულს ისევ გამოეთიშნენ საკავშირო ჩემპიონატს. ქუთაისელმა ფეხბურთელებმა საუკეთესო შედეგი საკავშირო ჩემპიონატში 1985 წელს აჩვენეს — მე-11.

აი, ის 4 გუნდი, საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატების უმაღლეს ლიგაში რომ გამოდიოდნენ, ლანჩხუთის „გურია“ რიგით მეხუთეა, რომელიც ჩვენი ფეხბურთის უმაღლეს დონეზე იასპარეზებს.

**ფეხბურთი**

# თასი — № 3 მექანიკური საამქროს ფეხბურთელებს

**ქუთაისის** მოტობლოკების ქარხნის ახალგაზრდულ კოლექტივში ფიზკულტურა და სპორტი საერთო ყურადღებითაა გარემოსილი. ამიტომ იყო ტრაქტორმშენებელთა და მანქანათმშენებლების მუშაკთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე, რომელიც თბილისში ჩატარდა, მოტობლოკების ქარხნის სპორტსმენებმა საერთო გუნდურ ჩათვლაში მეორე საპრიზო ადგილი რომ დაიკავეს. ასევე იმარჯვეს მათ საქალაქო და ლენინის რაიონულ სპარტაკიადებში.

აქ საინტერესოდ ტარდება შიდა საქარხნო შეჯიბრებებიც. მაგალითად, ქარხნის თასისთვის მებრძოლთა მატჩებს ფეხბურთში, რომელიც წელს მეათედ გაიმართა, მაყურებელი არ მოკლებია. ასე იყო წელსაც. შეჯიბრებაში 8 საამქროსა და განყოფილების 118 ფეხბურთელი მონაწილეობდა.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ № 3 მექანიკური და საიარაღო საამქროების გუნდები, მინიმალური ანგარიშით 1:0 მექანიკოსებმა გაიმარჯვეს და გარდამავალი თასიც საბოლოოდ მათ დაისაკუთრეს, რადგან ზედიზედ მესამედ გაიმარჯვეს. საამქროს მშრომელები ასეთივე წარმატებით გამოდიან სხვა შეჯიბრებებშიც, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ № 3 მექანიკურ საამქროში იციან ფიზკულტურისა და სპორტის ფასი.

ქარხნის ინსტრუქტორ-მეთოდისტმა მ. ხვისტანმა აღნიშნა — მეტ წარმატებებს მივაღწევდით, უკეთესი ბაზები რომ გვქონდეს. ქარხნის ფიზკულტურელები მოუთმენლად ელიან სპორტული ბაზების მშენებლობის დაწყებას. შენობა, რომელიც განათლების განყოფილების ბავშვთა საფეხბურთო სკოლის ტერიტორიაზე უნდა აიგოს, ბალანსიდან ბალანსზე ჩვენ გადმოგვეცა, მაგრამ მშენებლობის დაწყებამდე საპროექტო სამუშაოები უნდა დამთავრდეს. ვფიქრობთ არქიტექტორები და მშენებლები ანგარიშს გაუწევენ ჩვენი ქარხნის ახალგაზრდების თხოვნას და ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ სპორტული ბაზა მალე ჩადგეს მწყობრში.

**თამაზ კოლხიდელი.**
**(„ლელოს“ საკ. კორ.).**

ქუთაისი.

**საქართველოს ჭაბუკთა პირადი პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში**

# ი მ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბოლო წლებში ჩვენმა კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა საგრძნობლად დათმეს პოზიციები. რესპუბლიკის ნაკრები სერიოზული პრობლემების წინაშე დგას და ეს საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაზეც დადასტურდა. როგორი რეზერვი გვეზრდება? ვისი იმედი უნდა გვქონდეს ხვალიოდ? ამ და სხვა კითხვებზე უნდა გაეცა პასუხი 1968-69 წლებში დაბადებულთა რესპუბლიკურ პირად პირველობას, რომელიც ამ დღეებში ქუთაისში გაიმართა.**

შეჯიბრებაში რესპუბლიკის თითქმის ყველა უძლიერესი ჭაბუკი ფალავანი გამოვიდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ 10 სპორტსმენს, რომლებიც სპორტსაზოგადოება „უროჟაის“ საკავშირო პირველობაზე გამოდიოდნენ. თუმცა ეს „დანაკლისი“ შეავსეს 1970 წელს დაბადებულმა პერსპექტიულმა მოჭიდავეებმა, რომლებიც შეჯიბრების ორგანიზატორებმა დაუშვეს ტურნირზე. ეს გასაგებიცაა, გაისად ჩატარდება საკავშირო ჩემპიონატი 1969-70 წლებში დაბადებულთა შორის, თადარიგს დაჭერა აქედანვე უნდა. შეჯიბრების კარგმა ორგანიზაციამ, რაც მთავარია, მსაჯთა კოლეგიის ობიექტურობამ და პრინციპულობამ სპორტსმენებს საშუალება მისცა მაქსიმალურად გამოევლინათ შესაძლებლობები. გამოჩნდნენ პერსპექტიული, იმედის მომცემი ახალგაზრდები, თუმცა უმჯობესია მოვუსმინოთ საქართველოს სპორტსახკომის მთავარ მწვრთნელს კლასიკურ ჭიდაობაში **გურამ დათიაშვილს:**

— ჩამორჩენის დაძლევის უპირველეს საფუძვლად სწორედ ამ ასაკის მოჭიდავეებთან შეუპოვარი მუშაობა მიგვაჩნია. მით უმეტეს, რომ შეჯიბრებაში საკმაოდ ვიხილეთ პერსპექტიული სპორტსმენები. მწვრთნელებს დიდი გარჯა მართებთ, რომ ისინი ძლიერ ფალავნებად ჩამოყალიბდნენ.

თუ უმჩატეს წონაში ყველაფერი „მშვიდობიანად“ წარიმართა (აქ სულ სამი მოჭიდავე გამოდიოდა და მათ ერთმანეთში გაიყვეს საპრიზო ადგილი), 48 კგ-ში სიურპრიზი შემოგვთავაზა ქუთაისელმა ა. ხეცურიანმა. იგი შეჯიბრების ყველაზე უმცროსი მონაწილე იყო, მაგრამ მართლაც რომ გაგვახარა: ტოლი არ დაუდო გაცილებით უფროსებს, ნაკრების კანდიდატებს და პირველი ადგილი დაიკავა. 52 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში საკმაოდ გამოცდილ მ. ბაბლუანს არ გასჭირვებია გამარჯვება. ჩვენთვის სასიამოვნო იყო მეორე ადგილზე გასული ქუთაისელი გ. ასათიანის „აღმოჩენა“. ისევე როგორც 65 კგ. წონით კატეგორიაში მახარაძელი ა. სვანიძის გამარჯვება და სამტრედიელი გ. ადეიშვილის მეორე ადგილი. ა. სვანიძე შემტევი სტილით და ტექნიკით გამოირჩევა. იგივე შეიძლება ითქვას გ. ჭანტურიძეზე და გ. კოლუაშვილზე.

აქვე მინდა მადლობა გადავუხადო მასპინძლებს შეჯიბრების კარგი ორგანიზაციისთვის, თუმცა ერთი შენიშვნაც მაქვს; უნდა მოგვარდეს ჭიდაობის დარბაზის გათბობა.

**თამაზ ხარაბაძე,**
**„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი.**

**კვარცხლბეკი:**

**45 კგ.** 1. ფ. შავაძე (ბათუმი); 2. ე. ბაკურაძე (ბათუმი); 3. დ. რუხვაძე (ქუთაისი).

**48 კგ.** 1. ა. ხეცურიანი (ქუთაისი), 2. ხ. ჭანკვეტაძე (ქუთაისი), 3. ტ. შავაძე (თბილისი).

**52 კგ.** 1. მ. ბაბლუანი (თბილისი), 2. გ. ასათიანი (ქუთაისი), 3. კ. მაკარაშვილი (თბილისი).

**56 კგ.** 1. ზ. ჩაკვეტაძე (ქუთაისი), 2. კ. ლომინაძე (მახარაძე), 3. პ. ტეტუნაშვილი (ბორჯომი).

**60 კგ.** 1. ა. ჩაჩუა (სამტრედია), 2. გ. წიკლაური (თბილისი), 3. ა. პასხალიდი (სოხუმი).

**65 კგ.** 1. ა. სვანიძე (მახარაძე), 2. გ. ადეიშვილი (სამტრედია), 3. გ. ჩხატარაშვილი (მახარაძე).

**70 კგ.** 1. გ. ჭანტურიძე (ქუთაისი), 2. მ. მიქაძე (ქუთაისი), 3. ი. შალიკაშვილი (თბილისი).

**75 კგ.** 1. ი. ხუჯაძე (მახარაძე), 2. გ. ჩაკვეტაძე (ქუთაისი), 3. ბ. მორჩილაძე (მახარაძე).

**82 კგ.** 1. ნ. დვალიძე (თბილისი), 2. დ. კუპრაშვილი (ქუთაისი), 3. მ. გოგანიშვილი (ჭიათურა).

**87 კგ.** 1. გ. კოლუაშვილი (ქუთაისი), 2. რ. გადაბაძე (თბილისი), 3. დ. სვანაძე (ქუთაისი).

**97 კგ.** 1. ვ. ყახიანი (თბილისი), 2. ვ. ბანძელაძე (ქუთაისი), 3. ბ. ბერაძე (ორჯონიკიძე).

**+97 კგ.** 1. დ. კუპრაძე (რუსთავი), 2. ზ. ჩხარტიშვილი (მახარაძე), 3. დ. მორჩაძე (ქუთაისი).

## მოკლედ

### მეორე ადგილზე

**სვერდლოვსკში** გაიმართა შეიარაღებული ძალების საკავშირო პირველობა საციგაო სპორტში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც: ქვეყნის ნაკრების წევრები, კახა ვახტანგიშვილი და ლევან თიბილოვი, რომლებმაც ორადგილიანი ეკიპაჟების შეჯიბრებაში მეორე ადგილი დაიკავეს.

**„ლელოს“ კორ.**

### ერთ-ერთი საპატიო პრიზი

**წლეულს,** ოქტომბერ-ნოემბერში, საფრანგეთის ქალაქ ელანკურტში ჩატარდა პრობლემისტთა საერთაშორისო კონკურსი 100-უჯრიან შაშში. წარმატებას მიაღწია თბილისელმა ოსტატმა იური სპესივცევმა. მის მიერ შედგენილმა ამოცანამ ერთ-ერთი საპატიო პრიზი მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ჩვენი რესპუბლიკის მოშაშეებიდან პირველმა მან მიაღწია ასეთ აღიარებას.

**უნივერსიადა-86**

**რესპუბლიკის სპორტულ ბაზებზე გრძელდება საქართველოს პროფკავშირთა ყრილობისადმი მიძღვნილი სტუდენტთა რესპუბლიკური უნივერსიადა. წყალბურთში, ჩოგბურთში, კრივში, ცურვაში, მძლეოსნობაში, სპორტულ ტანვარჯიშში და მინიფეხბურთში გამართული შეჯიბრებების შესახებ უკვე გაუწყეთ, დღეს მშვილდოსანთა და მოჭადრაკეთა ასპარეზობების ანგარიშს გაგაცნობთ.**

# ყველაფერს ამინდს ნუ დავაბრალებთ

**უნივერსიადის** პროგრამით ბევრ სახეობაში გამართული ასპარეზობა იმიტომაც იყო საინტერესო, რომ სარბიელზე პრაქტიკულად რესპუბლიკის ყველა უძლიერესი სპორტსმენი გამოვიდა. მაგალითად, მშვილდოსანთა შეჯიბრებაში, რომელიც თბილისში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა, საქართველოს ყველა უძლიერესმა ქალმა იასპარეზა.

სამწუხაროდ, ეს შეჯიბრება მონაწილე გუნდების სიმრავლით არ გამოირჩეოდა. საასპარეზოდ შეიკრიბნენ მხოლოდ საქართველოს პოლიტექნიკური, ფიზკულტურის, სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტების, თბილისის უნივერსიტეტის, თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის, უცხო ენებისა და სოხუმის უნივერსიტეტის გუნდები.

ქარიანმა ამინდმა შეგვიშალა ხელი, — გვითხრა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა გივი დავითაშვილმა. — საკავშირო ნაკრების კანდიდატებმა ლია მაჩაბლიშვილმა, ირინა გრებენიკოვამ და ნაზი დიასამიძემ მაინც უკეთესად იასპარეზეს, ვიდრე ვაჟებმა. სამივე პრიზიორმა ქალმა სპორტის ოსტატის შედეგი აჩვენა. ამ შედეგებით საკავშირო სარბიელზე, ასე თუ ისე, კიდევ შეიძლება ბრძოლა, ვაჟებმა კი...

სპორტსმენებს ჩათვლა მხოლოდ პირველი თანრიგის შედეგის ჩვენებისთვის ეძლეოდათ, ამ შედეგის ჩვენება კი მხოლოდ ოლეგ კაფიევმა (ფიზკულტურის ინსტიტუტი) და რაუფ სალიმოვმა (პოლიტექნიკური ინსტიტუტი) შეძლეს. ამიტომ ვაჟთა შეჯიბრებამ მესამე პრიზიორი ვერ დაასახელა.

მართალია, სალიმოვი სპორტის ოსტატია, მაგრამ მან თავისი ოსტატობა ვერ დაამტკიცა, კაფიევი კი სპორტის ოსტატობის კანდიდატია და მასაც უკეთესად უნდა ეასპარეზა.

შეიძლება ვაჟებმა თავი იმართლონ, თქვან, ცუდი ამინდი იყოო, მაგრამ ამინდი ხომ მათთვისაც და ქალებისთვისაც ერთნაირი იყო?

ქალთა შეჯიბრებაში უძლიერესი იყო ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი მაჩაბლიშვილი (2388 ქულა). მეორე ადგილი წილად ხვდა პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის წარმომადგენელ გრებენიკოვას (2351), მესამე იყო თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი დიასამიძე (2315).

გუნდურ პირველობაში ყველას ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა (171 ქულა) აჯობა. მომდევნო ადგილები დაიკავეს თბილისის უნივერსიტეტისა (117) და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (101) წარმომადგენლებმა.

# მოჭადრაკეთა რეკორდი

**ბუნებრივია,** მოჭადრაკეები რესპუბლიკის ყველა უმაღლეს სასწავლებელს არა ჰყავს, მაგრამ ჭადრაკი სპორტის ისეთი სახეობაა, რომლის თამაში, მეტნაკლები წარმატებით, სტუდენტთა უმრავლესობას შეუძლია. ამიტომაც იყო, ჭადრაკის დაფებს სარეკორდო—19 უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები რომ მიუსხდნენ. ამ უნივერსიადაში სარბიელზე ამდენი გუნდი სპორტის არცერთ სახეობაში არ გამოსულა.

მოჭადრაკეები მხოლოდ გუნდური პირველობისთვის იბრძოდნენ.

I ჯგუფში ყველას აჯობა სამედიცინო ინსტიტუტის გუნდმა, რომელმაც დაამარცხა სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის (4:0), თბილისის უნივერსიტეტისა (2,5:1,5) და ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლები (3:1), ხოლო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოჭადრაკეებთან შეხვედრა ყაიმით (2:2) დამთავრდა.

გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში იყვნენ: დ. ლობჟანიძე, ს. ელიგულაშვილი, ი. ჩაჩუა და ი. აბზიანიძე. მეორე ადგილზე პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი გავიდა, მესამე იყო უნივერსიტეტის გუნდი.

II ჯგუფში გამარჯვება გორის ეკონომიკის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა იზეიმეს, მესამე ჯგუფში — კონსერვატორიის სტუდენტებმა იმარჯვეს.

**ავთანდილ ჭუჭუნაშვილი.**



საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# დამარცხება არავის უნდა

17 დეკემბერს მოსკოვში, კიევსა და ვილნიუსში გაიმართა ამ ტურის სხვა მატჩები.

**მოსკოვი.** კაუნასის „ჟალგირისი" სწრაფი ტემპით ინაზღაურებს დანაკლისს. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, შარშანდელმა ჩემპიონმა 54-ე საკავშირო ჩემპიონატის 15 მატჩში უკვე ექვსი შეხვედრა წააგო. ლიტველები ყოველ შეხვედრას უკვე გაორკეცებული მონდომებით ატარებენ. ტურის ბოლო შეხვედრაში მათ მოსკოვის „დინამოს" სახით ერთობ უხერხული მოწინააღმდეგე ჰყავდათ. პირველი ტაიმი დინამოელებმა მოიგეს კიდეც — 50:46. მაგრამ ბრძოლის ბედი მეორე ტაიმში გადაწყდა. ჩემპიონმა ენერგიული თამაშით ჯერ გაათანაბრა ანგარიში, მერე კი დაწინაურდა. მატჩის ბოლო წუთებში „ჟალგირისის" გამარჯვება უკვე ეჭვს არ იწვევდა — 112:90.

**კიევი.** „ჟალგირისის" წარუმატებლობა სტარტზე კარგად გამოიყენა გასული ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა ცსკა-მ და ხელთ იგდო ლიდერობა, რომელიც 15 თამაშის შემდეგ 3-ქულიან უპირატესობაში გადაიზარდა. მოსკოვის არმიელები ახლა გამარჯვების რეალურ პრეტენდენტებად ითვლებიან, თუმცა ფინიშამდე ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი.

ტურის ბოლო შეხვედრა ცსკა-მ ლენინგრადის „სპარტაკს" მოუგო — 109:85 (53:41).

კარგად ატარებენ წლევანდელი ჩემპიონატის მატჩებს კიევის არმიელები. ბოლო გამარჯვების შემდეგ (ალმა-ათის ასკ-სთან — 102:93) უკრაინელმა კალათბურთელებმა სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე გადაინაცვლეს.

**ვილნიუსი.** დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ადგილობრივი „სტატიბასა" და კიევის „სტროიტელის" შეხვედრა. ტაიმი „სტროიტელმა" მოიგო (44:38), მაგრამ ძირითადი დრო ფრედ — 74:74 დამთავრდა. გამარჯვებულის გამოსავლინებლად დამატებითი ხუთწუთიანი ტაიმი დაინიშნა. აი, აქ კი ვილნიუსელებმა იმარჯვეს და ბრძოლა თავის სასარგებლოდ დაამთავრეს — 83:80.

პრინციპულ ხასიათს ატარებდა რიგის ვეფ-ისა და მინსკის რტი-ს კალათბურთელთა ორთაბრძოლა. წარმატებას ლატვიელმა სპორტსმენებმა მიაღწიეს — 75:72 (37:46). ამ გამარჯვებით ვეფ-მა სატურნირო ცხრილში მეექვსე ადგილზე გადაინაცვლა.

საკავშირო ჩემპიონატი 23 დეკემბერს განახლდება თბილისის, რიგისა და დონეცკის ტურის მატჩებით. თბილისის დინამოელები ორ-ორ შეხვედრას ჩაატარებენ კიევის „სტროიტელთან" და მინსკის რტი-სთან.

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 15 | 13 | 2 | 28 |
| ასკ (კიევი) | 15 | 10 | 5 | 25 |
| „შახტ." (დონ.) | 15 | 9 | 6 | 24 |
| „ჟალგ." (კაუნ.) | 15 | 9 | 6 | 24 |
| „დინ." (თბ.) | 15 | 8 | 7 | 23 |
| ვეფ (რიგა) | 15 | 8 | 7 | 23 |
| „სპარტ." (ლენ.) | 15 | 7 | 8 | 22 |
| „სტროიტ." (კ.) | 15 | 6 | 9 | 21 |
| „დინ." (მოსკ.) | 15 | 5 | 10 | 20 |
| რტი (მინსკი) | 15 | 5 | 10 | 20 |
| ასკ (ალმა-ათა) | 15 | 5 | 10 | 20 |
| „სტატ." (ვილნ.) | 15 | 5 | 10 | 20 |

ჭაბუკ მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" პრიზზე

# ორი განსხვავებული დღე

**როგორც** იცით, თბილისის V საერთაშორისო ტურნირზე შეჯიბრების პირველ დღეს თავი გამოიჩინა ნამო ბიტკაშმა. იმავე საღამოს რინგზე საქართველოს კიდევ სამმა წარმომადგენელმა გაიმარჯვა.

ნიკოლოზ ჯაჭვაძემ (60 კგ, „შრომითი რეზერვები", თბილისი, მწვრთნელი — როლანდ კვაჭაძე) პირველი ორი რაუნდის მანძილზე, დიდხანს ზვერა მეტოქე, უფელი აზარ გალეევი, მესამე რაუნდში კი ისეთი ცეცხლი გააჩაღა, რომ საკავშირო ნაკრების წევრი იძულებული გახდა თავი დამარცხებულად ეცნო.

შედარებით თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა არტურ სალატელიანისა (75 კგ. „ბურევესტნიკი", თბილისი, მწვრთნელები სოსო წინამძღვრიშვილი, გიორგი შახსუვარიანი) და სერგეი ალიმოვის (სსრ კავშირი) შეხვედრა, მაგრამ ბოლოს მაინც თბილისელი სპორტსმენის უპირატესობა გამოიკვეთა.

ჯამბულად ყუფარაძე (75 კგ, „ბურევესტნიკი", ქუთაისი, მწვრთნელები ვალერი ბურჯანაძე, გია კუხიანიძე) შარშანდელი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულია. მან წელს კიდევ ერთი დიდი შეჯიბრება მოიგო — საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ჩემპიონატზე ოქროს მედალი მოიპოვა. ასე რომ, მისგან ახლაც წარმატებას ველოდით. ჯამბულადმაც იმედი არ გაგვიცრუა, ჩვეული შეუპოვრობით იბრძოლა და საკმაოდ დამაჯერებლად დაამარცხა აზინხამ ტუკუშევი (სსრ კავშირი).

შეჯიბრების მეორე დღეს, თითქოს პირი შეკრესო, ჩვენმა თანამემამულეებმა დამარცხებულებმა დატოვეს რინგი.

18 დეკემბერს საასპარეზოდ პირველი თენგიზ მესხაძე (54 კგ, „ლოკომოტივი", ქუთაისი) გამოვიდა. იგი ენერგიულად იბრძოდა, მაგრამ მეტოქე (ელდარ აბილოვი, სუმგაითი) უფრო ძლიერი გამოდგა და გამარჯვებაც მას დარჩა.

თევდორე კესაბოვმა (57 კგ, „შრომითი რეზერვები", თბილისი) საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრები გუნდის ერთ-ერთ ლიდერს, არმენ ავეტისიანს ვერ გაუწია ჯეროვანი წინააღმდეგობა.

გოჩა მუშკუდიანი (67 კგ. „კოლმეურნე", თბილისი) საკავშირო ნაკრების სახელით გამოდიოდა და კარგადაც იბრძოლა, მაგრამ ერთ მომენტში ტაქტიკური შეცდომა დაუშვა, ორი გაფრთხილება მიიღო და ორთაბრძოლის ბედიც ამან გადაწყვიტა. გაიმარჯვა რუმინელმა მიხაი ნიკულესკუმ.

კახა ქარდავას (75 კგ, „სპარტაკი", თბილისი) აშკარად მასზე ძლიერი მეტოქე ჰყავდა იგორ გაპონის (ვოროშილოვგრადი) სახით. საკავშირო ნაკრების წევრმა ორჯერ ნოკდაუნში გაგზავნა თბილისელი ჭაბუკი.

დასანანი მარცხი იწვნია კობა ჩალაძემ (71 კგ. „ლოკომოტივი", ქუთაისი). მის წინაშე უკვე ჩამოყალიბებული, ზრდადასრულებული მოკრივე იდგა — კუბელი ხორხე ერნანდესი. კობა კი ახალბედაა — პირველად მონაწილეობს ასეთ პრესტიჟულ შეჯიბრებაში. მიუხედავად ამისა, მან ტოლი არ დაუდო ძლიერ, გამოცდილ მეტოქეს. კუბელმა ოსტატმა მხოლოდ უმნიშვნელო უპირატესობით, ქულებით შეძლო ქართველი ჭაბუკის დამარცხება.

ედუარდ შოგმა (71 კგ. „შრომითი რეზერვები", თბილისი) კარგად დაიწყო, ნოკდაუნშიც გაგზავნა მეტოქე — ანდრეი რიაბოვი (სსრ კავშირი), მაგრამ მერე იმ ნოკდაუნის იმედით წინააღმდეგობა შეასუსტა და დაისაჯა კიდეც. რიაბოვმა აშკარა უპირატესობით სძლია მას.

პირველ დღეს მოპოვებული გამარჯვება ვერ განიმტკიცა ბიტკაშმა. მართალია, მან პირველი რაუნდი მოუგო ნოვოროსიისკელ სტანისლავ მალიუტას, მაგრამ მერე ინიციატ[illegible] დამარცხდა.

რინგზე ყველაზე ბოლოს იხმეს ოლეგ ჩაიკინი (81 კგ) და ფოთელი მამუკა აბშილავა. საკავშირო ნაკრების წევრმა თავიდანვე მედგრად შეუტია ქართველ დებიუტანტს და სულ მალე გატეხა მისი წინააღმდეგობა.

**გუშინ გაიმართა ნახევარფინალური შეხვედრები. სასიხარულოა, რომ ჩვენი რესპუბლიკის სამმა წარმომადგენელმა მოიპოვა ფინალში ასპარეზობის უფლება, თანაც უკვე დღეს შეიძლება ითქვას, რომ ერთი ოქროსი და ორი ვერცხლის მედალი განაღდებული გვაქვს. საქმე ისაა, რომ დღეს, ფინალურ ორთაბრძოლაში ერთმანეთს შეხვდებიან ქუთაისელი ჯამბულად ყუფარაძე, რომელმაც გუშინ პერმელი ვლადიმერ იუფეროვი დაამარცხა და თბილისელი არტურ სალატელიანი. მან გუშინ რუმინეთის წარმომადგენელს ილარიონ კომანს დააყრევინა ფარ-ხმალი. თბილისელი ნიკოლოზ ჯაჭვაძის მეტოქე დღეს იქნება ევროპის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, საკავშირო ნაკრების წევრი კონსტანტინე ცზიუ. ჯაჭვაძემ გუშინ სუმგაითელ მამიკ აგაევს (სსრ კავშირი) მოუგო.**

# სევილიის საერთაშორისო...

**ესპანეთის** ქალაქ სევილიაში დამთავრდა მეთხუთმეტე ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 130 მოჭადრაკე მონაწილეობდა. ტურნირი ჩატარდა შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ევროპისა და ლათინური ამერიკის წამყვანი მოჭადრაკეები, ისინი, ვინც დიუბაის საჭადრაკო ოლიმპიადიდან ესპანეთის გავლით ბრუნდებოდნენ შინ. აქ სულ 16 ქვეყნის წარმომადგენლები შეიკრიბნენ.

ტურნირში მონაწილეობა მიიღო ქართველმა დიდოსტატმა, ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა თამაზ გიორგაძემ. მან 7 ქულა მოაგროვა და I-III ადგილები გაიყო ინგლისელ ხოდსონთან და კოლუმბიელ გონსალესთან ერთად. ჩვენმა თანამემამულემ 5 პარტია მოიგო და 4 ყაიმით დაასრულა. გამარჯვებულებმა გაუსწრეს ისეთ ცნობილ დიდოსტატებს, როგორიცაა როდრიგესი, გარსია (ორივე კუბა), ბელონი (ესპანეთი), ჯურიჩი (იუგოსლავია) და სხვები.

ჭაბუკ სამბისტთა საკავშირო ტურნირი

# თექვსმეტი პრიზიორი

**მოლდავეთის** დედაქალაქ კიშინიოვში ჩატარდა ჭაბუკ სამბისტთა (1971-1972 წწ. დაბადებულნი) საკავშირო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ უკრაინის, ბელორუსიის, მოლდავეთის, საქართველოსა და სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლები. საქართველო ამ ტურნირში (პირადი პირველობისთვის 270-ზე მეტი სამბისტი იბრძოდა) ორი გუნდით — თბილისისა და თელავის კოლექტივებით იყო წარმოდგენილი (სულ 21 მონაწილე). შეჯიბრებისადმი ასეთი ინტერესი განაპირობა იმან, რომ 1971-1972 წლები მოსწავლეთა მომავალი სპარტაკიადის მონაწილეთა ასაკია. ცხადია, ასეთ პირობებში, ყველა გუნდს სურდა ერთხელ კიდევ შეემოწმებინა თავისი შესაძლებლობები.

საქართველოს მოჭიდავეთა თავკაცები (რესპუბლიკის ნაკრების უფროსი მწვრთნელი თ. არაბული, თბილისის გუნდის მწვრთნელები — გ. ბაისონაშვილი და ე. ბიგანიშვილი, თელავისა — გ. ფოთოლაშვილი და ფ. ჩიტაშვილი) შეჯიბრებიდან კმაყოფილნი დაბრუნდნენ. ეს გასაკვირი არც უნდა იყოს, ვინაიდან რესპუბლიკის წარმომადგენლებმა 16 წონით კატეგორიაში სამი პირველი, ექვსი — მეორე და შვიდი — მესამე ადგილი დაიკავეს.

გამარჯვება მოიპოვეს: 35 კგ. წონით კატეგორიაში — ვ. მესხმა (თელავი), 47 კგ — დ. ჯიქიძემ (თბილისი), მძიმეში — ა. ბახსოლიანმა (თელავი). II საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: 47 კგ. — ე. ხადილაშვილი, 50 კგ. — გ. ხვისტანი (ორივე — თელავი), 53 კგ. — ს. წაქაძე (თბილისი), 56 კგ. — ვ. მანველიშვილი, 65 კგ. — ზ. ბაგაური (ორივე — თელავი), 77 კგ. გ. ხაჭვანი (თბილისი), III ადგილები დაისაკუთრეს: 38 კგ. — გ. ჩანადირმა (თბილისი), 65 კგ. — ვ. ლომიშვილმა (თელავი), 68 კგ. — ა. ბაკიძემ (თბილისი), 71 კგ. — ი. რაზმაძემ (თელავი), 74 კგ. — ი. ხინგოიანმა (თბილისი), 77 კგ. — კ. არჩემაშვილმა (თელავი), მძიმე — ზ. მიქაძემ (თბილისი).



რეტრო

**თქვენს** წინაშეა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა ერთ-ერთი ძველი მატჩის ამსახველი საარქივო სურათი, რომელსაც „რეტროს" რუბრიკით ვაქვეყნებთ.

ეს იყო ზუსტად 35 წლის წინ, 1951 წელს. საკავშირო ჩემპიონატის მატჩში მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სპარტაკი" და თბილისის „დინამო". თბილისის დინამოელები — ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორები, საკავშირო თასის გათამაშებათა მუდმივი ფავორიტები, საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყვნენ, მათ გამოსვლას მოსკოვში მუდამ დიდი ინტერესით ელოდნენ იქაური გულშემატკივრები. ამ მატჩშიც, რომელიც მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე შედგა, ხალხით ისე გაიჭედა ტრიბუნები, რომ, როგორც იტყვიან, ნემსის ჩასავარდნი ადგილიც კი აღარ იყო. ეს ის პერიოდი გახლდათ, როცა სტადიონის შორეულ მისასვლელებთან ხალხი ტრიალებდა ზედმეტი ბილეთის შოვნის იმედით....



სურათის წინა პლანზე ვხედავთ მოსკოველთა მცველს და გუნდის კაპიტანს ვასილი სოკოლოვს, ბურთს ეუფლება მეკარე ალექსეი ლეონტიევი, მისგან მარჯვნივ შეტევაზეა თბილისის დინამოელი რევაზ მახარაძე, კიდევ უფრო მარჯვნივ — მცველი ა. სეგლინი.

მეტად საინტერესო სურათია. რევაზ მახარაძემ თავისი ცხოვრება ფეხბურთს შეალია, 10 წელი თამაშობდა „დინამოში", შემდეგ, როცა თამაშს თავი დაანება, ერთხანს ავარჯიშებდა რუსთავის „მეტალურგს", 1973 წლიდან კი მწვრთნელად მუშაობს თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლაში. რევაზ მახარაძემ უკვე 60 წელს გადააბიჯა, მაგრამ მაინც ახალგაზრდული ენერგიით და სიყვარულით ემსახურება არჩეულ პროფესიას: ნორჩ ფეხბურთელთა აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

# „მერანი" №26

**გამოვიდა** გაზეთ „ლელოს" საჭადრაკო დამატება „მერანის" მორიგი, 26-ე ნომერი. ნომერში ვრცლადაა გაშუქებული ვიქტორ გოგლიძის VII მემორიალი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ დამთავრდა თბილისში. აქვე დაბეჭდილია ამ ტურნირზე გათამაშებული რამდენიმე პარტია.

ასევე დიდი ადგილი ეთმობა საჭადრაკო ოლიმპიადებს. „მერანის" კორესპონდენტს ესაუბრება მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, საბჭოთა ოლიმპიური გუნდის ლიდერი, დიდოსტატი მაია ჩიბურდანიძე, მკითხველი გაეცნობა ქალთა და ვაჟთა ტურნირების მონაწილე საბჭოთა მოჭადრაკეების შედეგების ცხრილს, ჩვენი ოლიმპიელების მიერ ნათამაშებ რამდენიმე პარტიას.

რუბრიკით „ახალი წიგნები" „მერანი" მკითხველს აწვდის ინფორმაციას საქართველოში ახლახან გამოსული საჭადრაკო წიგნების შესახებ.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის განყოფილების გამგე მიხეილ ჭაბაშვილი წერილში „უნებლიე შეცდომა და გადაუდებელი საქმე" საყურადღებო წინადადებას გვთავაზობს.

## „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები 14 დეკემბერს გამართული „სპორტლოტოს" მორიგი, 50-ე ტირაჟებისა.

„სპორტლოტო 6 45"-დან: გაიყიდა 841 289 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (37 ბარათი) მოგება 1364 მანეთია, ოთხისთვის (2373) — 31, სამისთვის (45920) — 3.

„სპორტლოტო 5 36"-დან: გაიყიდა 7 162 608 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (5 ბარათი) მოგება 10 000 მანეთია, ოთხისთვის (2669) — 273, სამისთვის (124 551) — 11.

## ეკრანზე...

**ცენტრალური ტელევიზია. 20 დეკემბერი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; რიტმული ტანვარჯიში — **9.30 (2)**; სპორტი და პიროვნება: გარი კასპაროვი — **18.55 (2)**; საერთაშორისო ტურნირი ჰოკეიში გაზეთ „იზვესტიას" პრიზზე: შვეცია — ფინეთი — **19.30 (2)**.

**რედაქტორის მოადგილე**
**თ. გაჩეჩილაძე.**

შეკვ. [illegible] საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ხაგაზეთო ქაღალდზე, ხოშარაულის ქ., 29. უე 07763